ივერია

გაზეთი ღირს:

თვეში	მან. კ.	თვეში	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ტ. გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 19 მაისს

გლადსტონის პროექტი ირლანდიის პარლამენტის გამო თან-და-თან მომხრეებსა ჰპოულობს, რაც დრო გადის, უფრო თან-და-თან ეჩვევა ინგლისის ერი მის დედა-აზრსა და ის იში, რომელიც პირველ ხანებში გამოიწვია ამ პროექტმა, თან-და-თან ჩნელდება და ჭრება. დღეს თითქმის იმედიცა აქვთ, რომ პარლამენტი მიიღებს მაგ პროექტსაო და თუ ეს გამარ თლდა, 1886 წელი იქმნება მოწამედ ერთის უდიდესის აზრის ძლევა-მოსილობისა ქვეყნიერობაზედ. საქმე იმაშია, რომ ორმა ურთიერთის წინააღმდეგმა აზრმა ამ პროექტზედ უნდა გადატეხოს თავისი ხმალი და ამ გადატეხას თავისი ძალ-ღონე მთლად უნდა შეალიოს. ამ ორმა აზრმა თითქმის ორად გაჭყო მთელი ინგლისი, ერთი ნაწილი ერთსა ჭქადაგობს და ერთის სახელით იბრძვის და მეორე—მეორის სახელითა. ერთი მხარე იძახის, სამართალია ძალაო და მეორე—ძალაა სამართალიო. ასე დაყენებული საქმე მარტო ინგლისს კი არ შეეხება, არამედ მთელს ქვეყნიერობასა, მთელს კაცობრიობას, რომლის სვე-ბედი თითქმის იმაზეა დამოკიდებული თუ,—ამ ორში რომელი აზრი გაიმარჯვებს და რომელი დაედება საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა და კაცთა ერთმანეთში მოთავსებასა.

გლადსტონის პროექტი წარმომდინარებს იმ დედა-აზრიდამ, რომ სამართალია ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს და ყოველს თვის მოქმედებას, ერთმანეთში გაწყობას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედ ჰქონდეს. ღობე, მარტო იმ მიზეზით რომ დაბალია, არას დროს არ უნდა გადალახულ იქმნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოს გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი, მოციქული მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა რა სხვა რამე.

გლადსტონის წინააღმდეგი დასი, რომელსაც წინ უძღვის სალიუსბერი, იმ მოძღვრებაზეა დამყარებული, რომ საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი არა აქვსო. რადგანაც ირლანდია ჩვენ იარად აგვჩენიაო, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტკიეებთო? ავიღოთ და როგორც ხორც-მეტი ამოვიჭრათ და გადავაგდოთო. ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო!.. თუ ამ სიტყვებით არა, ამ აზრით მაინც მოქმედობს კონსერვატორების მოთავე სალიუსბერი. მან პირ-და-პირ გამოაცხადა ერთს კრებაზედ, რომ მარტო ძალადობა და მუშტია ამ საქმიდამ ჩვენი ქვეყანასაც ჩასჭიდა თავისი მძლავრი ხელი, არ მიჰხედა მის წარსულს, მის ისტორიას, არ გაიცნო მისი ენა და ლიტერატურა.

განათლების გამვრცელებელნი სწავლულნი რომ ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, მაშინ ამ საგნებს პირველი ადგილი ეჭირებოდათ, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს საუკუნეში განათლების გამვრცელებელნი მარტო ვაჭრები არიან ისე, როგორც საშუალ-საუკუნოებში მარტო ჯარისკაცნი იყვნენ. მაშინ მხოლოდ ხმალ-კაპარჭი მოქმედებდა, ეხლა-კი შილინგები და ფრანკები, რომელთაც მოგებასა და გამორჩომის გარდა სხვა არაფერი საქმე არა აქვთ.

იაპონია-კი ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომლის წარსულშიაც ბევრი საინტერესო და შესასწავლი რამ არის დამარხული. რად ანდომებენ სწავლულნი მთელ წელიწადებს და ხშირად სიცოცხლესაც რაღაცა ნიშნების გამოკვლევას გადალესილს ქვებსა, ნანგრევებსა და კაცის ძვლებზედ? რისთვის არსებობენ მთელი საზოგადოებანი და ჯაფასა და შრომას ანდომებენ იმ ხალხის ენის აღდგენას, რომელსაც რამდენისამე ათასის წლის წინედ უცხოვრია, და იქნება სრულიად არც-კი არსებულა? დასასრულ, რად იკვლევენ და იძიებენ ესევე სწავლულნი ისტორიას, ენას და ლიტერატურას ცოცხალის ერებისას?

რატომ ერთხელ არ მიჰხედეს იაპონიას? იქნება გაჰკვირდნენ კიდეც და არც დაიჯერონ, რომ უთხრან: იაპონიის სახელმწიფოში ერთი კაცი არ მოიძებნება, რომელმაც-კი წერა-კითხვა არ იცოდესო. ვერ იპოვნით იქ გლახას, მუშას, გონჯს, რომ წერა და კითხვა არ იცოდეს. შვიდის წლის ყმაწვილი გარკვევითა სწერავს და კითხულობს. ამასთან უნდა შევნიშნოდ, რომ იაპონიის წერილობა ისეთი ვრცელი და არეული არ არის, როგორც ჩინური, თუმცა ადვილად შესამჩნევია, რომ ჩინეთის ლიტერატურას დიდი გავლენა ჰქონია იაპონიისაზე.

იაპონები თავიანთ ლიტერატურის დასაბამს აწერენ თავიანთ მე-ოც-და-ცამეტე მეფის ტენცატენ-ეოოს მეფობას, რომელიც, ჩვენებურ წელთ აღრიცხვით, მეთერთმეტე საუკუნეში სცხოვრებდა. ამ მეფემ გაასწორა და გაამშვენიერა სამშობლო ენა და დიდი მონაწილეობა და ღვაწლი მიუძღვის ხალხის განათლების საქმეშიო. მისის მეფობიდგან დარჩენილ შესანიშნავ ნაწარმოებად მიაჩნიათ: **კოწიკი**, ანუ ძველთა წიგნი; **ნიპონიკი**—სახელმწიფოს მატიანე; **ფოთუკი**—საერო ლეგენდების კრება და **დაკრი**—წიგნი ზნეთა და ჩვეულებათა. ზღაპართა და ლეგენდათა კრება, როგორც ხალხის ნაწარმოების მაგალითი, განსაკუთრებითის ყურადღების ღირსია. იმაში ჩვენ შეეხვდებით იმისთანა არაკებსა და ლეგენდებს, რომელნიც მეტადა ჰგვანან სხვა ქვეყნებისას, იმ განსხვავებით-კი მხოლოდ, რომ იქ უფრო მეტის ფანტაზიით არიან მოთხრობილნი. აი ნიმუშად მოგვყავს ერთი მეტად გავრცელებული არაკი—**ქვის-მჭრელი:**

ძველის-ძველად ერთგან წყლის ნაპირზედ სცხოვრებდა ერთი ქვის-მჭრელი. ადგილი მწირი და უნაყოფო იყო და მარტო წყლის გამორიყულის თევზებით თავს ირჩენდა და ქვის ჭრით თითო-ოროლა გროშსა შოულობდა. ქვის ჭრა მეტად ძნელი იყო და გამოსარჩომიც ისე მცირე, რომ საწყალი ქვის-მჭრელი თითქმის ტიტველა დადიოდა. ერთ მზიან დღეს, მთელის დღის მუშაობის შემდეგ, წამოწვა ქვაზედ დასასვენებლად. «რა ბედნიერნი არიან ისინი, რომელთაც თბილი ტანისამოსი აცვიათ და მთელი დღე უსაქმოდა წვანანო! — სთქვა აღმოოხვრით ქვის-მჭრელმა. კეთილმა ანგელოზმა (духъ) გაიგონა მისი ნატვრა და უთხრა, «დღეიდგან, გაურჯელად თბილი ტანისამოსი გეცმევა და შენც ისე ნებიერად და ოფლ-დაუღვრელად იცხოვრებო.» და ქვის-მჭრელი ერთს წუთზე აბრეშუმითა და ხავერდით შეიმოსა. ამ დროს გამოიარა მეფემ, რომელსაც გარშემო დარბაისლები და დიდებულები ეხვივნენ; მეფე სულ ოქროსა და ძვირფასს თვლებით შემკულ ტანისამოსში იყო და მის თავზედ ეჭირათ დიდი ქოლგა, სხვა-და-სხვა სახეებით მოქარგული და გაფერადებული.

«რა არის უსაქმურად წოლა თბილ სამოსელში იმ სიამოვნებასთან, რომ მეფე იყო და ქვეყნის მბრძანებელიო!» — ჩაილაპარაკა თავის-თავად ქვის-მჭრელმა. ანგელოზმა გაიგონა და უთხრა: „შენის სურვილისამებრ მეფე იქნებიო.“ და ქვის-მჭრელი გარდაიქცა მეფედ. მას გარს ეხვივნენ მსახურთა გროვა და მის თავზედაც ეჭირათ მფრინველებისა და ოთხ-ფეხის სახეებით მოქარგული ქოლგა. ერთხელ ეს ქვის-მჭრელი ნაზადა სეირნობდა ბრინჯით დათესილს მინდერებზე და სიამოვნობდა; უეცრივ რამდენიმე მზის სხივი ეცა თვალებში და წუთიერად თვალები დაუბნელა. «რად მინდა მეფობა, რას ვაქნევ, თუ მზე მეც ისე დამწვავს და დამდაგავს, როგორც ჩემის სამეფოს უკანასკნელს ყურ-მოჭრილს მონასაო,—წამოიძახა გამეფებულმა ქვის-მჭრელმა,—მე მინდა მზე ვიყო, ემზეობდე, ცაზედა ემეფობდეო!» და ანგელოზმა ქვის-მჭრელი მზედ აქცია. ცაზედ ამოვიდა ახალი მნათობი; ის ამაყადა ჰფენდა თავის სხივებს მიდამოს და ქვეყნიერებას ანათებდა, მისი სხივები არა ჰზოგავ-

*** აბრეშუმის მოყვანის მიმდევარ ლერისიეს დაუთვალიერებია ტფილისის თუთის ხეები და მათზე რაღაცა ავად-მყოფობა აღმოუჩენია. მისის სიტყვით, მიხეილის ქუჩაზედ, ბაღებში მუშტაიდამდე ყველა თუთის ხეებს ფოთლები ან სულ არა აქვთ, ან თუ აქვთ—ცოტა. ასრეევა სოლოლაკში და სხვაგანაც. ეს ავად-მყოფობა უფრო ნამყენ თუთის ხეებს ემტერებაო. კარგი იქმნებოდა, რომ გამოეკვლიათ ეს სენი უფრო რიგიანად და რაიმე საშუალება აღმოეჩინათ მის მოსასპობად.

*** პოლკოვნიკი იოსელიანი, რომელსაც სახელმწიფო ფულის უკანონოდ დახარჯვა ჰბრალდებოდა, სასამართლომ დამნაშავედ იცნა და გარდაუწყვიტა: ჩამოერთვას ყოველივე ღირსება და უპირატესობა და ციმბირში გაიგზავნოს.

*** როგორც გავიგეთ, ტოლლეს თავის საპნისა და კართოფილის სანთლის ქარხანიდამ თექვსმეტამდე მუშა კაცი დაუთხოვნია და ამის მიზეზად ის უთქვამს, რომ საქონელს გასაყალი არა აქვსო, ჯამაგირებს ვერ აღიღებენო და თუ დანარჩენებიც არ დაიკლებენ ჯამაგირს, იმათაც დავითხოვ და ტუსაღებს ვამუშავებო.

*** ს.-პეტერბურგის ბუნების-მეტყველთა საზოგადოებას, გაზ. „Нов. Вр.“ სიტყვით, ბაქოს გუბერნიაში დაუნიშნავს თავადი მასალსკი საბოტანიკო გამოკვლევათათვის.

ფელეტონი

იაპონიის ლიტერატურა

დიდს ოკეანეში მწვანე კუნძულებია, რომელსაც „მზის ქვეყანას“ ეძახიან და რომელსაც გეოგრაფები იაპონიას უწოდებენ. ეს იაპონია დიდ-ხანს ამიცანად იყო და დიდ-ხანს არავის ენახა, არავის ეცნო. იმ დროდგან, როდესაც მარკო პოლო წავიდა „ციპანგოსაკენ“, თითქმის უკანასკნელ დრომდე იაპონია თავის 30 მილლიონის მცხოვრებლებით ჩვენთვის გამოუცნობი და აუხსნელი სფინქსი იყო. შემდეგ ყოველად ძალოვანმა ცივილიზაციამ მის სტუმრისმოძულე კიდეებამდინაც მიაღწია და დაფარულს ფარდა ახადა. ბევრს დროს არ გაუელია, რომ ეს მხარე აჰყვავდა და განათლდა: მისი მიწები რკინის გზის ლიანდაგით შეიმოსა, მის წყლებზედ გემებმა დაიწყეს სიარული, მწვანე ბალახით შემოსილს მინდვრებზედ ქვითკირის სახლები აშენდა; გაიმართა დუქნები, სკოლები, დამოჭნა, აფთიაქი; შეიკრიბა ლაშქარი და სამხედრო ძალა,—და ყველა ეს მოხდა სულ რაღაცა 25 წლის განმავალობაში.

ხოლო როცა ცივილიზაციამ ამ

*** გორიდგანა გვწერენ: მაისის 14 შუა-ბაზარში ხალხი შეყრილიყო და ერთი ალიაქოთი ჰქონდა. ამ ლაპარაკის მიზეზი ის იყო, რომ გორის სანახირე ადგილი მცხოვრებლებმა თავ-თავიანთვის დააყორულეს, საქონლის პატრონებმა საქონელი ნახირში ველარ გარეკეს და აი სწორედ ეს იყო მიზეზი ამ ლაპარაკისა და შეყრილობისაო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ზოგი ამბობდა, ძალა ვიხმაროთო და ზოგი კიდევ ამშვიდებდა ხალხს, ძალით საქმის გაკეთება არ შეიძლებაო. ამ ლაპარაკში ვილამაც ამილახვარის სახელი ახსენა. ამ დროს, საუბედუროდ, გამოიარა ამილახვრის მოურავმა აზ. ანტონ თავზარაშვილმა, მოჰკრა ამილახვარზე ნათქვამ სიტყვებს ყური და გაწიწმატდა, საჩხუბრად დაიწყო წევა. როგორ გაბედეთ და ამილახვრის გვარი ახსენეთო, შესძახა მთქმელსა და თანაც შემოჰკრაო. მაგრამ თითონაც სამაგიერო მიიღო, და რანახა რომ ხელით ვერას გააწყობდა, ამოიღო ხანჯალი და დასაკრავად გაეკიდა ამილახვარზე ავის მთქმელს, მოეწია, დაჰკრა მკლავში, მაგრამ ისე სუბუქად, რომ დაკრულს არა დაშავებია-რაო. ამოღებული ხანჯალი რომ დაინახა, იგრიალა იმოდენა ხალხმა, როგორ თუ ხანჯალი ამოიღეო, და ყველა თაზარაშვილს მისცვივდა. წააქციეს, ზედ შესდგნენ და წიხლებით ბევრი სცემესო. ბოლოს გამოჩნდა ვილაცა მადლიანი კაცი და რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით გამოჰგლიჯა ცოცხალ-მკვდარი თაზარაშვილი გააფთრებულს ხალხსაო. ნაცემის მორჩომა სათუოა, საბრალო წევს და ექიმი აღგასო.

*** იმიერ-კასპიის რკინის გზის ინჟინერს ანენკოვს, გაზ. «Рус.Кур.»-ის სიტყვით, გზათა სამინისტროში შეუტანია პროექტი, მოვიხმაროთ ის ნავთის წყაროები ორთქლით მატარებლის საჭიროებათათვის, რომელნიც მე აღმოვაჩინე ბალაშევის ახლოვო. ეს პროექტი მიუღია მართებლობას და ჩქარა მიჰყობენ ხელს წყაროების შემუშავებასაო.

*** 16 მაისის დამეს, ზოლიციის 7 განყოფილებაში, მინდვრიდგან, ჩითახოვის ბაღის უკან, გაურეკიათ 52 ცხვარი და ორი ცხენი, რომელიც კაჭარს დიმიტრი ჩიქოვანს ეკუთვნოდა. ცხვრები და ერთი ცხენი საერო დარაჯს დაუჭერია ქვემო ბარბარეს ეკკლესიასთან. ამ ქურდობაში შენიშნული ზოლიციამ უკვე დაატუსაღა.

*** 15 მაისს, საღამოს 4 საათზე, ზოლიციის მე-2 განყოფილებაში, გოლოვინის პროსპექტზე, სადაღაქოში ტფილისის მცხოვრებ სამსონ ქვთარაძეს ხმუნი მოუვიდა ბაგრატ მარქაროვთან და მუცელში მაგრატელი ატყა. დამნაშავე დატუსაღებულია. დაჭრილი საავადმყოფოში გაიგზავნა. გამოძიება სწარმოებს.

*** 17 მაისის დამეს, მირზოევის ქარხანიდამ გაუტანიათ სხვა-და-სხვა საქარხნო იარაღები 352 მანათისა. ქურდობაში შენიშნული ასასი ორუჯ-ბაბაოღლი და ნაქურდალის დამფარავნი მოქალაქენი გეურჭ სარქისოვი და სანდრო მარტირუზოვი, რომელთ ხელშიაც აღმოჩნდა ნაქურდალი, დაჭერილები არიან და გამოძიებელს გარდაეცნენ.

*** 17 მაისს, იაკობ ნაზაროვის ქარვასლაში სიღნაღის მაზრის სოფელ ოორ-მულანლოს მცხოვრებ ასან ირიოღლიმ თავისსავე იარაღით თავის თავი დაიჭრა მარჯვენა მხარში. დაჭრილი საავად-მყოფოშია გაგზავნილი.

*** 13 მაისს, ზოლიციის 9 განყოფილებაში, ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მცხოვრებ გლეხს ლუკა ისაკაძეს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოუვიდა რაჭისავე მცხოვრებ ბესო ქცენიძესთან და გულში დანა დასცა. ჭრილობა საშიში არ არის. დამნაშავე დატუსაღებულია. გამოძიება სწარმოებს.

*** 19 მაისის დამეს, ზოლიციის 8 განყოფილებაში, აკოფოვის სასლებში, ფურნეში მოუკლავთ სპარსეთის ქვეშევრდომი ჭაკი-ჭუსეინ-ული. ამ მკვლელობაში შენიშნული მისი მოკამაგირე სპარსეთისავე ქვეშევრდომი ჭასანა, რომლის გვარიც არ იცით, სადღაც დაიმალა. მის საპოვნელად ღონის-ძიებაა მიღებული. გამოძიება სწარმოებს.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ბათუმი, 16 მაისს. ამ დღეებში მობრძანდა აქ გურია-სამეგრელოს ახალის ეპარქიის მმართველი, ყოვლად უსამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი. მეორე დღესვე მოსულისათანავე ყოვლად უსამღვდელო გრიგოლმა დაათვალიერა ბათუმის სასწავლებლები. რიცა ეპისკოპოზი შებრძანებულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სკოლაში, შემდეგი სიტყვებით მიუმართავს მაჭმადიან ქართველთა მოსწავლეთათვის: „თქვენ, შვილებო, ჩვენი ძველებური ძმები ხართ, ეს მხარე ძველადვე ძალდატანებით მოაშორეს საქრისტიანო მხარეს, საქართველოს და გაამაჭმადიანეს; ამას თქვენც გაიგებთ, თუ ისწავლით გულს მოდგინედ. მხოლოდ სწავლა შეგვაერთებს ორს დიდის ხნით დაკარგულს ძმებსაო“. ქრისტიან მოსწავლეთ ჭკითხა თურმე ეპისკოპოსმა განმარტებით ლოცვა უფლისა და შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა: „ისწავლეთ, შვილნო, ბევრითადა, რომ სასარგებლონი გამოხვიდეთ მეფისა და მამულისათვის“.

კვალად მაჭმადიანებს მიმართა ყოვლად უსამღვდელო გრიგოლმა, წააკითხა „ყორანი“. მაჭმადის რჯულის ხოჯას სთხოვა გადათარგმნა ის ადგილი „ყორანისა“, რომელიც ყმაწვილებმა წაიკითხეს, მაგრამ ხოჯამ ვერ გადათარგმნა, რადგანაც არაბულად არის დაწერილი „ყორანი“. რა კი სიტყვამ მოიტანა ბათუმელ მაჭმადიან ქართველებზე ლაპარაკი, „იგვრიის“ მკითხველებს განვუზიარებ რამდენსამე ცნობას აქაურობაზე.

უნდა მოგახსენოთ, ისლამი საშინელი მტერი ყოფილა ეროვნებისა. ისლამის დროშის ქვეშ მხოლოდ ერთი საზოგადო ერი, სხვა-და-სხვა ეროვნებათაგან შემდგარი, სდგას—თათრობა. აქ ადგილი არა აქვს არც სომეხს, არც ქართველს და არც სხვას. ამ აზრით ოსმალეთში რომ იტყვიან „გურჯი“ თათარიო, ის კი არ გამოდის, ქართველი თათარიო, აქ ისევე აზრია, როგორც მაგალითებრ ანატოლიის თათარი, სტამბოლელი თათარი, მისირის თათარი და სხვ. აქ მხოლოდ სდგიდის სასულ-წოდებაა და არა ეროვნებისა. ბათუმის მაზრაში გაუსათლებელი ხალხი თავის თავს „გურჯს“ თამამად და თავ-მოწონებით ეძახის, მაგრამ სასულ-წოდება «ქართველი» კი ეზოთირება. შეგნებულნი და განვითარებულნი (რასაკვირველია, შედარებით) მაჭმადიანნი ქართველნი, რომელთაც იციან, რომ სარწმუნოება სხვაა და გვარ-ტომობა, ჩამომავლობა, ეროვნება სხვა, „გურჯს“ უწოდებენ თავიანთ თავსა იმ აზრით, როგორც საზოგადოდ ქართველი თავის თავს ქართველს ეძახის. ამას წინად ერთს სასიამოვნო მასლაათს შეგესწარი აქაურს მაჭმადიანთ შორის. ერთი ფრიად პატივცემული ქართველი მაჭმადიანი კაცი ეფენდი, განათლებული, თავის თანა-მოძმეთ—მაჭმადიანებს, აი რას ეუბნებოდა: „ქრისტიანები მთელს დუნიაზე სცხოვრებენ. მათში უველა ერთი ჩამომავლობისა კი არ არის—ქართველიც ქრისტიანი არის, რუსიც, ფრანგიც, ბერძენიც. ქრისტიანი ქართველი თავის თავს არც რუსს უწოდებს, არც ბერძენს, არც ფრანგს იგი ქართველი ქრისტიანია, როგორც ქრისტიანი რუსი, ქრისტიანი ბერძენი, ქრისტიანი ფრანგი. სარწმუნოება რა შუაშია? ჩვენ თათრები ვართ სარწმუნოებით, მაგრამ ჩამომავლობით კი ქართველები, ისეთივე ქართველები, როგორნიც ქრისტიანი ქართველები არიან.“ ჩვენდა სასიამოვნოდ „გურჯი“, ტერიტორიალური ტნება, მალე შეიცვლება ეროვნულს ტნებად, ე. ი. გურჯი იმავე ქართველს აღნიშნავს, როგორც მიღებულია საზოგადოდ. ერთს სალხურს გარდმოცემას მოგვარ ყური, რომელიც უნდა გარდავსცე უსათუოდ „იგვრიას“: როდესაც სულტან სელიმი თურმე შევიდა გონიის ციხეში (ესლაც არის ეს ციხე მოსადიდის ხეობაში) და აქედგან თავ-ზარი დასცა მესხეთს, რომელსაც ძალათი ამაჭმადიანებდა, ამ სანებში ჩაგველები (ქობულეთის საწილია) შეიკრიბნენ ერთად, მივიდნენ სელიმთან და უთხრეს, რომ მათ ნებით ჭსურთ მიიღონ მაჭმადიანობა. ეს ამბავი ისე ესიამოვნა მძვინვარე «დესპოტს» აღმოსავლეთისას, რომ მაშინვე განსაკუთრებითის თვირმანით გაანთავისუფლა ჩაგველები ყოველ გვარის გარდასახადისაგან.

რამდენად მართალია ეს ზეპირ-სიტყვაობით დაცული ამბავი, რა მოგახსენოთ, მხოლოდ სეფიქრებელი კია, რომ ამ გარდმოცემასთან უთუოდ რაიმე კავშირი უნდა ჭქონდეს იმ გარემოებას, რომ დღესაც ოსმალეთის მთავრობისგან არავითარიმე „თავები“ არა აქვთ ჩაგველებს მიწა-წყალზე, მთა და ბარზე. „თავმა“, როგორც ადრევაც ვამბობდი «დროებაში», ბათუმის მაზრა ოსმალეთის ზოლიტიკურს ურთიერთობას, წყობილებას შეასრულა. თავით მიწა არავისი საკუთრება არ არის, მხოლოდ იგი მიწა არის ალლახისა და სულტანისა. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოა, რომ ჩაგველებს თუ თავები არ მისცეს, მაშ იმათ ისევ საქართველოს მეფეების სიგელებით უნდა სწერონ-დათ მიწები.

ბათუმი დიდს შემწეობას აძლევდა ამ სამის წლის განმამავლობაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. წელს კი აღარავერი ამ გვარი არ ისმის ბათუმში. თითქო საქართველოს სხვა ქალაქები ბათუმს უფუ-რებენო, არც იქიდგან ისმის რამე. ბათუმს ის გარემოება აბრკოლებს ჯერ, რომ ერთად ერთი თეატრი ანანიევისა მთელის ზაფხულის განმამავლობაში იქირავეს მოსკოველმა არტისტებმა, რომელნიც ყოველ საამ დღეში ერთსულ ჭმართავენ წარმოდგენას. მეორედ კიდევ ის აბრკოლებს ბათუმს, რომ აქაური ინტელ-

---

დნენ არც ცხოველთ, არც ხალხს და არც მეფეს. ერთს დილას მზესა და დედა-მიწას შუა ჩადგა ღრუბელი. ბევრს ეცადა და ბევრი ეწვალა მნათობი, გაეტარებინა როგორმე ღრუბელ შუა თავისი სხივები, მაგრამ ვერ მოახერხა. «თუ კი ასეა, მე ღრუბლად მინდა ვიქცეო!» და ანგელოზმა ღრუბლად გარდააქცია. დარონინებდა არხეინად ღრუბელი ცისა და ქვეყნის შუა, ამაყად შესცქეროდა მზეს, აბნელებდა და დასკინოდა მის უღონობას. შემდეგ წამოიღვრებოდა ნიაღვრად, ქვეყანას ანადგურებდა, ზღვებს ავსებდა, წყაროებს მდინარეებად აქცევდა, მაღლობ ადგილებზე აშენებულს სოფლებს სულ ჩამოშლიდა ხოლმე. მარტო დაფიქრებული კლდე უმაგრდებოდა მის რისხვას, მარტო ის იყო ზღვის ნაპირზედ წარბ-შეუხრელი. «თუ კლდე ჩემზედ ლონიერია, კლდეობა მირჩევნიაო»,—სთქვა ღრუბელმა და გარდიქცა კლდეთ. დიდხანს იდგა დაფიქრებული კლდე, მას ვერას აკლებდა ვერც წვიმა, ვერც სეტყვა და ვერც თოვლი, იდგა უძრავად, მაგრამ ერთხელ მის ძირში მივიდა ტანისამოსს შემოფხრეწილი, ნახევრად შიშველი კაცი და არხეინად რკინის იარაღით კლდეს მტვრევა დაუწყო. «ნუ თუ ეს უბედური ქვის-მჭრელი ჩემზედ ლონიერია? ნეტავ მე ვიყო მაგის ადგილასაო!» წამოიძახა კლდემ და ერთ წუთზე გარდაიქცა ქვის-მჭრელად, იმავედ, რაც წინედ იყო, ვიდრე თბილს სამოსელს ინატრებდა და უსაქმურად წოლასა».

აი მეორე მაგალითი, ლეგენდა ძველის-ძველად დარჩენილი და ხალხში არაკად გავრცელებული.

«ნაკასაკის კარებთან, ბნელს ქოხში, მაღალის გორის ქვეშ სცხოვრებდა ერთი კუდიანი დედა-კაცი, რომელმაც თავად ნაოსიკოს უწინასწარ-მეტყველა, რომ მზე მოგპარავს იმ ყმაწვილს, რომლის დაბადებასაც მოელიო.

ეს სიტყვები რომ გაიგონა თავადმა, გადასწყვიტა, რომ არც ერთი სხივი მზისა არ მიუშოს თავის ახალად დაბადებულის ქალის აკვნამდე. კოტოდგან დაიბარა საუკეთესო ხელოსნები და ზღვის შუა, კუნძულზე ააგებინა დიდი ფაიფურის კოშკი. იქ გადიყვანეს ნაოსიკის ქალი ძიძებითა და მოსამსახურეებითურთ. იქა სცხოვრებდა და ისე გაიზარდა, რომ არ იცოდა რა არის მზის სხივი. კოშკს ფანჯრები არა ჰქონდა და კარებს კი ერთგული სამურაიები (მსახურები) იცავდნენ. მხოლოდ ღამე, რა-კი მთვარე ამოვიდოდა, გაიღებოდა კოშკის საიდუმლო ფანჯარა და გათენებისას ისევ იხურებოდა. ამ ფანჯრის ამბავი არავინ იცოდა.

ფაიფურის კოშკში მზე ვერ აწვდენდა თავის სხივებს და ამაოდ ადგა ხოლმე ზედ თავზე დარაჯად. როცა ცა ღრუბლებით შეიმოსებოდა, კოშკში ჩამობნელდებოდა ხოლმე და საწყალი ვატანაბე (თავადის ქალი) დნებოდა მთელი დღე შეკეტილი კოშკში. როცა ჰკითხავდა თავის მოსამსახურეებს სინათლეზე რასმე, უპასუხებდნენ, რომ არა ვიცით-რაო.

„გავიდა კარგა ხანი და თავადის ქალი ვატანაბე მშვენიერი ქალი დადგა. იგი ვარდის კოკორსა ჰგავდა, რომელიც მზის სხივს ელის, რომ გაიშალოს. მას ეუბნებოდნენ, რომ მზე მაგ მშვენიერს თვალებს ამოგიშრობსო; ამაოდ ებრძოდა ფაიფურის კოშკის კედლებს საბრალო ვატანაბე და გარეთ იწევდა, შველა არსაიდამ არ იყო.

ერთხელ შუა-ღამისას რაღაცა უცნაურმა ხმამ დააფრთხო და გამოაღვიძა ვატანაბე. რაღაცა მოხვდა კოშკის კედელს და ქალის საწოლ პირ-და-პირ კედელი შეანგრია. დილით გაიღვიძა ქალმა და დაინახა, რომ შემონგრეულის კედლის ხვრელიდგან ოქროს ფერს სინათლეს შემოეშუქნა. გაკვირვებული ვატანაბე წამოდგა და ცალის თვალით გაიხედა ხვრელიდგან. მან პირველად დაინახა, როგორ იღვიძებდა ბუნება, როგორა ქაფდებოდა და ზვირთდებოდა ზღვა, რა გვარად ბიბინებდა მშვენიერი ყანა, როგორ მიდი-მოდიოდნენ ღრუბლები ცაზედ, როგორ ჭნათობდა ცა. გულმა ძლიერ ცემა დაუწყო, ამ ახალ სანახავის სიამოვნებას გულმა ვერ გაუძლო, თავ-ბრუ დაესხა და დაბნდა.

როდესაც გონზედ მოვიდა, იგრძნო რომ ვიღაც მხურვალედა ჰკოცნიდა გადაღეღილ გულზედ, ეს პატარა, რგვალი, ბრწყინვალე შუქი იყო, რომელიცა სწვავდა და სისხლს უდუღებდა ქალსა. ქალმა მოიწადინა შუქის დაჭერა, მაგრამ შუქი ხელიდგან უსხლტებოდა და ვერ მოახერხა, ვერ დაიჭირა. დასასრულ, დაქანცულ-მოწყვეტილ და აღელვებულ ვატანაბეს ძილი მოერია და ჩაეძინა.

დილაზე მსახურებმა შენიშნეს, რომ კოშკში სინათლე შემოსულიყო. გამონგრეული ადგილი გააკეთეს, მაგრამ გვიანლა იყო: ვატანაბეს უმანკოება მზემ წარიტაცა. ცხრა თთვის შემდეგ ქალმა შობა ვაჟი, რომლის პირი-სახე მზესავით სინათლესა ჰფენდა ქვეყნიერობას. მაშინ-კი ყველანი მიხვდნენ, რომ ეს ყმაწვილი ბუდდას *) შვილი იყო.

„ვატანაბეს აღარ არიდებდნენ მზეს. ერთს ზაფხულის დილას მან ტანის რაღაცა სიმჩატე და სიმსუბუქე იგრძნო და ხელებ-გაშლილი დილის სიომ აიტაცა ზეცას. ბუდდას შვილი კი დარჩა დედა-მიწაზედ ქვეყნის სანუგეშებლადა.

მას შემდეგ არავის აღარაფერი გაუგონია ვატანაბეზედ, მარტო ხაშიშის მოყვარენი იძახიან, რომ ვატანაბე ხან-და-ხან დასტრიალებს ხოლმე თავზედ ფაიფურის კოშკსაო. ახალ-გაზდა ქალები-კი მზიან დღეს ბანაობის დროს მარაოებს აიფარებენ ხოლმე და ისე შესცქერიან მზეს, რომ იქნება ჩვენც გვაღირსოს თავისი ალერსიო.»

ბევრს ამისთანა მშვენიერს და ფანტაზიით სავსე ლეგენდებს შეხვდებით, თუ მათს წიგნებში ჩაიხედავთ და ან რომელიმე იაპონელის მოთხრობას დაუგდებთ ყურსა.

*) ბუდდა იყო ინდოეთის სჯულის დამფუძნებელი. თითონ სიტყვა ბუდდა ნიშნავს ბრძენს. ბუდდა მეტი სახელია ინდოეთის სჯულის მდებელისა. ნამდვილი სახელი გაუტამმა, ანუ საკიამონი ერქვა და იყო შვილი მეფის მაღადისა. გარდაიცვალა 543 წელს ქრისტეს წინად.

ლიგენტია, რომლის ვალიც არის ამ გვარ საქმეების თანხლობა და მეთაურობა, დაზანტდა, „გაქართველდა“! ესე არა სჯობიან, რომ ჩვენისვე ხელით გაუთხოთ სამარე ჩვენისავე თანხლობით დაბადებულს საქმეს, რომლის მსგავსი ჩვენს ცხოვრებას ჯერ არა მოუგონია-რა. ეს-და გვაკლდა?!

ხუმარა

სოფ. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა), 12 მაისს. მთელს სიღნაღის მაზრაში ამ სოფელზედ უკეთესი ადგილი ძირად მოიპოვება საცხოვრებლად. ამ სოფელს საერთო სახელს ბაკურციხეს ეძახიო, მაგრამ ეს სოფელი ორად არის გაყოფილი და ამის გამო, სხვა ორი სახელიცა ქვიან: ა) ზეკით სოფელი, ბ) ნასომხარი. ეს ორი უბანი ერთმანეთზედ 2½ ვერსის სიშორეზედ არის. ზეკით სოფელი მართლაც რო ზემოდ, მთის მახლობლად არის გაშენებული, მაღლობზედ; იქა სცხოვრებენ ორასამდე კომლი გლეხი და ცხრა კომლი თავადის შვილი; ამ სოფელში არის ორი ეკკლესია: ერთი ღვთის მშობლისა და მეორე—წმინდის გიორგისა. ამის ქვემოდ სწორე ადგილზედ არის გაშენებული ნასომხარი. აქა სცხოვრებენ სულ თავადის შვილები, რიცხვით 13 კომლი. აქაც არის აშენებული ძველთაგან ორი ეკკლესია: გომართის ეკკლესია და სამებისა. აქ წინად უცხოვრიათ სომხებს და ამიტომაც ეძახიან ნასომხარსა. აი რითია ნასომხარი კარგი ადგილი: პირველი რომ ეს უბანი ხელის გულსავით სწორე ადგილია. ამასთანავე აქაურს მცხოვრებლებს ერთობ უველას სახლის გვერდზედ აქვთ დიდროვანი ზვრები, წიხ მშვენიერი ბახჩები და ეზოები და იქვე კალო-საბძლები და სხ... მახლობლადვეა მშვენიერი წყაროები. სხვათა შორის შუა ნასომხარში არის გაყვანილი გზა-ტკეცილი. ამიტომაც ბევრს ენატრება აქ ცხოვრება. ბევრმა სხვა სოფლელებმა დაიწყეს აქ გადმოსახლება. ამ ერთის წლის განმავლობაში ორი თავადის შვილი გადმოსახლდა. ბევრნი აპირობენ კიდევ სასახლის სყიდვას ჩვენს ნასომხარში.

ბაკურციხელები არ ჩამოურჩებიან სხვა სოფლელებს შეძლებით. მხოლოდ ჩვენდა სამწუხაროდ ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს ამ შემკულს სოფელს. ეს ნაკლულევანება გახლავთ სკოლის უქონლობა. კახეთში იშვიათად არის ისეთი სოფელი, რომ თუ სკოლა არა ქონდეს, არა ფიქრობდეს მაისტ ამ საჭირო საგანზედ. ბაკურციხეში-კი ჯერ-ჯერობით სკოლაზედ არაფერი არ ისმის. მართალია, თვითეულს ცალკე რომ ჰკითხო, სკოლა გინდათ თუ არაო, უველა გეტყვის, რომ გვინდაო, მაგრამ საერთოდ-კი უველა ამასვე არ ამბობს და სურვილს არ იჩენს. ამას წინად მე ველაპარაკე ბაკურციხელებს ამ საგანზედ. მითხრეს რომ ჩვენ ძალიან მონდომებულნი ვართ, ვიტვირთებთ კიდეც სკოლისა და მასწავლებლის სარჯს, მაგრამ ისეთი ადგილი არის, რომ ამ სურვილს შესრულება მისცესო. ვისაც ამ გვარი საქმეები აბარია, რომ მიაქცევდეს ამ გარემოებას თავის ყურადღებას, საერთო განაჩენი სკოლის დაარსების თანხაზედ მაღე შესდგებოდა. თავადიშვილებიც თანაუგრძნობენ სკოლას და აცხადებენ სურვილს, რომ ადგილს მუქთად დავუთმობთ სკოლის შენობისათვისაო და სხვაფრივაც შეგეწევითო.

შაქრო ვ—ძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დეპეშიდამ უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა ის დიდ-მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სევასტოპოლში ჯავშნიან ხომალდების ჩაშვების დროს შავ-ზღვაში. ხელმწიფის სიტყვა უბრალო სიტყვა არ არის, რასაკვირველია, შეუმჩნეველად არ ჩაივლიდა, და ლაპარაკს გამოიწვევდა, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაშიაც. მართლაც და როგორც გაზეთი „Московскія Вѣдомости“ გვაუწყებს, ამ სიტყვას ინგლისში დიდი ამბავი მოუხდენია.

„ქურდის თავზე ქუდი იწვისო“, სწორედ ესე მოსდის ინგლისსაო, ამბობს გაზეთი. როდესაც კაცს სინიდისი აწუხებს, მაშინ უველაფერისა ეშინიან და ისე ჰგრძნობს თავსა, თითქოს უველაფერში დანაშაულობასა სწამებენო. ამას ცხადად გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვამ ასეთი ზედგაგლენა იქონია ლონდონშიო. „ჩემი ფიქრი და ზრუნვა ერის კეთილ-დღეობაზე და მშვიდობიანობაზეა მიმართულიო; ხოლო თუ გარემოება ხელს შემიშლის და გამიძნელებს, შეგასრულო ჩემი გულითადი სურვილი, იძულებულ ვიქმნები თოფიარაღს ხელი მოვკიდო და ისე დავიცვა სახელმწიფოს ღირსებაო“, ბრძანა ხელმწიფემაო. ამ ჭეშმარიტად-მეფურ სიტყვაში ინგლისმა მაშინვე რაღაც ნიშნები ამოიკითხა და გარდასწყვიტა, რომ «ბოლგარიის საქმეში რაიმე ფათერაკს» უნდა მოველოდეთო.

მართლა, „რაიმე ფათერაკი“ მოელის კიდევ ბოლგარიას, თუ არა, ნამდვილად ვერას ვიტყვით, იმაში კი ეჭვი არ არის, რომ ¦დღეს თუ ხვალ ევროპის მშვიდობიანობა შეირყევა სულ იმავე გაუთავებელ „აღმოსავლეთის საქმის“ გამო.

* * *

ჩვენი ქალაქი მატანტალა ძაღლებით არის სავსე. ზოგი-ერთ მიყრუებულ ქუჩებზე ამათი შიშით გაცს ვერც კი გაუვლია. აქამდისინ ქალაქის გამგეობას ვერა მოუხერხებია რა, რომ მოაშოროს ქალაქს ეს «უადგილო და მავნებელი ქუჩის მდგმურები». გვგონია, რომ არც სხვა ჩვენი ქალაქები იქნებიან მოკლებულნი ამ „ქუჩის მდგმურებს“. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, ჩვენის ქალაქების მეთაურებმა იკოდნენ, რა საშუალებასა ხმარობენ სხვა ქალაქებში, რომ მატანტალა ძაღლები თავიდამ მოიშორონ. აი, მაგალითად, პეტერბურგში როგორა ჭხოცავენ ქუჩაში უპატრონო ძაღლებს. ძაღლებს იჭერენ, ფურგუნებში ჭურიან და განგებ ძაღლებისთვის აშენებულს სახლში მიჭყავთ. „Петербургскій Листокъ“-ის ერთს თანამშრომელს უნახავს ეს სახლი და აი რა ცნობებს გვაუწყებს:

სახლში ამ ხნობით მხოლოდ 40 ძაღლი იყოვო. აპრილში 201 ძაღლი ყოფილიყო დაჭერილი, ამათგან 38 ისევ უკან წაეყვანათ პატრონებსაო. ძაღლის პატრონს დღეში ორ შაურს ართმევენ შესანახის ფასსაო. 1885 წლის 29 აპრილიდამ 3 მაისამდე პეტერბურგში 2,980 ძაღლი ყოფილა დაჭერილიო.

— რა ნაირადა ჭხოცავთ ძაღლებსაო? ვიკითხე მეო.

— ვახრჩობთო, მიპასუხესო.

— საწამლავს არ აძლევთო?

— ორ-სამ ათასს ძაღლს ცოტა საწამლავი კი არ მოუნდებათ, ვინ აუვა ამდენ ხარჯსა, ან კი ღირს ამათაო. აი ჩანგალზე ყულფიანი თოკია ჩამოკიდებული, ძაღლს ყულფში თავს გავაყოფინებთ და ორ-სამ წამს თავდება საქმეო; ამას რაღა დიდი ფიქრი უნდაო!

— მოკლულ ძაღლებს რას უშვრებითო?

— კარგის ფიშის ძაღლს ვატყავებთო.

— მერე ტყავს რას უშვრებითო?

— ერთი ნემენცი ყიდულობს და კაი ფასსაც იძლევაო: თითო ტყავში ორ-სამ შაურს ვიღებთო.

— რად უნდა მერე ძაღლის ტყავი?

— ხელ-თათმანებს აკეთებენო.

ურიგო არ იქნება, ჩვენი ქალაქებიც ისე მოიქცნენ, როგორც პეტერბურგი. ცალკე მატანტალა ძაღლებს მოიშორებდნენ და თან სარგებლობაც ექნებოდათ. ეჭვი არ არის, რომ ჩვენშიაც გამოჩნდებოდა ნემენცი, რომელიც ძაღლის ტყავებს იყიდდა.

უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიაში მთავრობის მოწინააღმდეგე დასი არ ისვენებს და სცდილობს რომ სხვა-და-სხვა გვარი უსიამოვნობა არ მოაკლოს მთავარსა და მის მთავარ-მინისტრს კარაველოვს. უკმაყოფილება დასისა უფრო ძლიერია რუმელიაში. მოთავე ამ დასისა ცანკოვი ერთს გარკვეულს გზას ვერ დასდგომია და მაინც-კი ამელრევს წყალს და სცდილობს თავისი გაიტანოს. ამას რომ ჰკითხოთ, არც ის უნდა, რომ ბოლგარიისა და რუმელიის საქმეში ჩაერიოს ვინმე და თან ისიც უნდა, რომ შფოთი და ანღრეულობა მოახდინოს თავის ქვეყანაში. მე არ მინდაო, რომ ბოლგარიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად შემოვიდეს ვინმეო, ამბობს ცანკოვი, და თან კი პირველი არღვევს მშვიდობიანობას, რომ გაადვილოს ბოლგარიის დაჭერის საქმე სხვა სახელმწიფოსაგან.

იმის მაგივადად, რომ ისეთის დიდის საქმისათვის, რომელიც მთავარმა და მისმა მინისტრმა შეასრულეს, ესე იგი ბოლგარიისა და რუმელიის გაერთიანებისათვის, მადლობა გადაუხადონ ცანკოველებმა, დიდს უმადურობას იჩენენ. კერძო თავ-მოყვარეობის გამო ძირს უთხრიან თავის გაერთიანებულის, ბევრად გადიდებულის სამშობლოს ბედნიერებას და უნდათ დამოუკიდებელის გზიდამ გადაახვევინონ. აი ასეთი მამულის შვილები უნდა ინატროს ისეთმა ქვეყანამ, რომელიც ეს-ეს არის გამოსულა საპოლიტიკო ასპარეზზედ, როგორც თვითმყოფელი და დამოუკიდებელი წევრი ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის და ამის გამო ჯერ ისევ სუსტია და ფეხ-მოუმაგრებელი! ნუ თუ ცანკოველები არა გრძნობენ, რომ მათ თავიანთის ქცევით შეუძლიანთ დაჰლუპონ თავიანთი ქვეყანა და მით მტერი გაახარონ.

5 მაისს მოწინააღმდეგე დასს დიდი კრება გაუმართავს და მთავრობის წინააღმდეგ ულაპარაკნია ფილიპოპოლში, მაგრამ ქალაქ გარეშემო სოფლებიდამ 5,000 კაცი შეკრებილა და დაუფანტნიათ მეამბოხენი: „თქვენ გინდათ ჩვენი მთავარი განდევნოთ განაო?“ უთქვამს ხალხს მოწინააღმდეგეთათვის და დაუდგენია, რომ ჩვენ, მკვიდრნი რუმელიისანი, ერთგულნი ვართ ჩვენის მთავრისაო.

ეს კიდევ არაფერი. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე დასი ცხადად მაინც გამოსულა საწინააღმდეგოდ. საქმე ის არის, რომ იგი სხვაფრივ უფრო ძრიელ მოქმედობს და იარაღად ხმარობს ყოველ-გვარს სახმარს, ყოველ გვარს მანქანებას, ბეზღობას და სხვანი-და-სხვანი. როცა ალექსანდრე მთავარი რუმელიაში დამოგზაურობდა, ამ დასის მეცადინეობით, ზოგან თურმე ჩუმად სწვავდნენ კამარად შეკრულს ჭიის კარებს, მთავრის პატივის საცემლად გამართულებს.

აი ასეთები არიან ის მოწინააღმდეგე ცანკოველები, რომელთაც ნამდვილად არც-კი იციან, რა გზას დაადგნენ და სამშობლოს სიყვარულის მაგიერ კერძო თავ-მოყვარეობა ამოქმედებთ.

საბერძნეთი. სულ სხვა გვარია წინააღმდეგობა დასთა შორის საბერძნეთში. აქ ერთი დასი მოწინააღმდეგეა მეორისა, მეორე მესამისა, მაგრამ ყველა დასს ძრიელ ულვივის გულში სიყვარული მამულისადმი და მისი ბედნიერება აქვს უმთავრესს საგნად. არც ერთი დასი არ იტყვის აქ, რომ საბერძნეთის საბედნიეროდ საჭიროა დავთმოთ დამოუკიდებლობაო. არც ერთი დასი არა მოქმედობს კერძო თავ-მოყვარეობის გამო. თუ განსხვავება არის აქ დასთა შორის, ეს განსხვავება იმიტომ კი არ წარმოსდგება, რომ დასნი სრულიად ერთი ერთმანერთის წინააღმდეგს გზას ადგიან, არამედ იმიტომ რომ ერთი უფრო მხნეა, უფრო მარჯვეა და უფრო მამაცი, რომ მტკიცედ ადგას ერთსა და იმავე გზას, რომელიც ყველა ბერძენს საუკეთესოდ მიაჩნია თავის ქვეყნის ბედნიერებისათვის.

მართალია, ჭორი ბევრია და სხვათა-შორის ამ ჭორის გამო დელიანისს აბრალებენ, რომ შენ და შენმა მომხრეებმა შეაჯახეთ ბერძნების ჯარი ოსმალეთისას სამზღვრებზეო, რათა ამით დაგემარცხებინათ ტრიკუპისის სამინისტროო და ისევ შენვე ჩაგეგდო ხელში მართვა ქვეყნისაო, მაგრამ ამ გვარი ჭორი მართალი არ გამოდგა. ყველა იმას ამბობს, რომ შეჯახება თუ მოხდა, აქ დელიანისი სრულიად არაფერ შუაში არ არისო. რა საკვირველია, რომ ორი მოწინააღმდეგე ჯარი, რომელიც ამდენი ხანია აგერ ერმანერთს პირის-პირ უდგა და მტრობით არის აესილი, გაჯერებულიყო ლოდინით და ერთმანერთს შესჯახებოდაო.

ერთი რუსული გაზეთი გულის წყრომით ამბობს, რომ ჯარების შეჯახების მიზეზი არც დელიანისია და არც ტრიკუპისიო. იქნება რომ თვით მოწინააღმდეგე ჯარებიც არაფერ შუაში არ არიანო. აქ მოქმედობენ სრულიად სხვა მიზეზებიო. ევროპაში ისეთი სახელმწიფონიც არიან, რომელთათვისაც სასარგებლოა საქმე აირ-დაირიოს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორისო. გაზეთი აქ ინგლისსა და ავსტრიაზედ ლაპარაკობს. თუ რამე არეულობა მოხდა, უთუოდ ეს ორი სახელმწიფო ერთად იმოქმედებენ ძმურადაო. გაზეთი მხოლოდ ეხლა მიხვედრილა, რომ ინგლისს სხვა აზრი ჰქონდა, როცა ძლიერი ფლოტი და დიდი ჯავშნიანი ხომალდები გამოჰგზავნა საბერძნეთის წყლებში ერთა-შორისის ესკადრაში მონაწილეობის მისაღებად და როცა თვით ეს ერთა-შორისი ესკადრა დაუმორჩილა თავის ადმირალს. ინგლისი ამბობს, ვითომ ჩემი ფლოტი საბერძნეთის წყლებში იმიტომ სდგას, რომ ევროპის საყოველთაო ინტერესები დაიცვასო და ის კი არა თუ ეს ფლოტი ჩვენ გვიახლოვდება და იქ უნდა ასტეხოს ცეცხლი, საცა იგი ცეცხლი ჩვენთვის ფრიად მავნებელი იქმნებაო.

ინგლისი. ახირებულმა სიტყვამ სალისბერისამ დიდ-ძალი მომხრეები შესძინა გლადსტონს ირლანდიის კანონ-პროექტისა. ზოგიერთი ლიბერალები, რომელთაც არ მოსწონდათ პროექტი გლადსტონისა, ეხლა ისევ გლადსტონს მიემხრნენ, რადგანაც იმისი ეშინიანთ, რომ ეაი თუ ტორიების გამარჯვებამ დიდი არეულობა მოახდინოს ირლანდიაშიაო.

ის ხმა, ვითომ გლადსტონი სამსახურიდგან გადადგება, თუ ირლანდიის კანონ-პროექტი არ იქმნა შეწყნარებულიო, არა მართლდება. გლადსტონი ამბობს თურმე, რომ ვიდრე მცირეოდენი იმედი მაინც მექმნება გამარჯვებისა, თავს არ დავანებებ ჩემს თანამდებობასაო და ვეცდები მივაღებინო პარლამენტს ის კანონი, რომელიც არა თუ სამართლიანობით და კაცთ-მოყვარეობით არის გამოწვეული, არამედ დამცველია ბრიტანიის ინტერესებისაცაო. მინისტრის ამხანაგს ბრაისს სხვათა-შორის უთქვამს, რომ მთავრობას უნდა ერს დაეკითხოს ამ საქმეშიო. დემოკრატიას არ შეუძლიან ქვეყანა ძალადამატანებელის კანონებით განაგოსო; ირლანდიის დასმა იცის, რომ დემოკრატია იმისი მომხრეაო.

გასართობი

რამდენი ხაჭმელი უნდება წელიწადში ინგლისელს. ინგლისელები უფრო ბევრს საჭმელს ანდომებენ თავიანთ თავს, ვიდრე დანარჩენი ევროპიელნი. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისელი ყოველ-დღე უფრო ბევრსა მუშაობს, ვიდრე ფრანგი, რუსი, ნემენცი და სხვა. აი ორთაშუა რიცხვი ზოგიერთა უპირველესს საჭმელთა, რომელსაც წელიწადში სჭამს და სვამს ინგლისელი: ხორცს—124½ გირვანქას, შაქარს—75⅔ გირ., ყველს—16⅚ გირ., ერბოს, ანუ კარაქს—5¼ გირ. და ყავას—1 1/10 გირვანქას.

„შავი შატტი“. ამერიკელი გაზეთები გვაუწყებენ, რომ ნიუ-იორკში გამოჩნდა ერთი მომღერალი-ქალი, რომელიც საკვირველად მშვენივრადა მღერისო. ეს მღერალი ქალი უეჭველია ადელინა პატტის მომავალში მოწინააღმდეგე, მოქიშპე იქნება მღერაშიო. ეს ქალი შთამომავლობით ზანგიაო. გაზეთებს ცამდინ აჰყავთ და გაოცებულნი არიან თურმე მისის ხმით. ამ შავ-მომღერალ ქალს სახელად მისს ნელლი ბროკი ჰქვიან (Nellie Broke).

თაგვების დასაფრთხობი ხახხარი. ოდესსის მოვაჭრეები მეტად შეწუხდნენ თაგვებისაგან და ერთი მეტად თავისებური სახსარი გამოიგონეს მათ დასაფრთხობად. დაიჭერენ თუ არა თაგვს, ეუვნებს შეაბამენ თურმე და ისე გაუშვებენ. ეუვნების ხმა, როგორც აღმოჩნდა, ისეთს შიშის ზარსა სცემს თურმე თაგვებს, რომ დამფრთხალნი აქეთ-იქით აწყდებიან და აღარ იციან რა ქმნან. მოვაჭრეებს დუქნებს წინ წყლის გუბეები აქვთ

თურმე და დამფრთხალნი, დარეტიანებული თაგვები გარბენის დროს შიგა ცვივიან და ირჩვებიან.

სტატისტიკა ენისა. ამ ბოლოს დროს ფილოლოგებმა განიზრახეს ახალი საყოველთაო ენა შეადგინათ, ეს ენა საკუთრივ ვაჭრების სახმარად უნდოდათ გარდაექციათ. ამ განზრახვამ დიდი ლაპარაკი და ბაასი ასტეხა სწავლულთა შორის. ამისთანა ენის საჭიროება და სარგებლობა ყველამ აშკარად დაინახა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შემდეგს საგანზე შესდგნენ: აქვსთ რამე საფუძველი, ახალი ენა შეადგინონ, თუ რომელიმე ძველი ენა, უკვე არსებული ამოირჩიონ და ის გაავრცელონ. ამ საგნის გამოსარკვევად მეტი არ იქნება ვიცოდეთო, რამდენად არის გავრცელებული ზოგიერთი უპირველესი ენა ქვეყნიერობაზედაო.

გამოიკვლიეს და გამოჩნდა რომ, ჩინურს ენაზედ მოლაპარაკენი ყველაზედ ბევრნი არიან. ჩინურად თითქმის რომ 400,000,000 სული ლაპარაკობს, აზიაში.

ინდოურს ენაზე ლაპარაკობს 200,000,000-მდე სული, აზიაშივე.

ინგლისურს ენაზედ 100,000,000 სული ლაპარაკობს, ამათში ნახევარი ამერიკაშია.

რუსულს ენაზე ლაპარაკობს 100,000,000 სულამდე.

ნემენცური ენა 60,000,000 სულის ღვიძლი ენაა, ამათში 56 მილლიონი ევროპასა ჰხვდება წილად.

ისპანიურად ლაპარაკობს 48,000,000 სული, ამათში 30 მილლიონი ამერიკაშია.

ფრანგული ენა სულ 46,000,000 ეკუთვნის.

ადებ-მიცემობის ფლოტი მთელის ქვეყნიერობისა. ადებ-მიცემობის ფლოტის აღრიცხვიდამ სჩანს, რომ ინგლისს 22,500 ხომალდი აქვს ადებ-მიცემისათვის დანიშნული. ამ ხომალდებში საერთოდ მოთავსდება და ეტევა საქონელი 672,000,000 ფ. ინგლისის შემდეგ უფრო ბევრი საადებ-მიცემო ფლოტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა აქვთ: იმათის ხომალდების რიცხვი 6600-ია, რომლებშიაც თავსდება და ეტევა 162,000,000 ფუთი. ნორვეგიას აქვს 4200 ხომალდი, რომლებშიაც ეტევა 90,000,000 ფუთი. გერმანიას აქვს 3,000 ხომალდი, რომლებშიაც ეტევა 84,000,000 ფუთი. რუსეთსა, საფრანგეთსა და იტალიას—ყველას სათითოდ 3,000 ხომალდზე ნაკლები აქვთ. საფრანგეთს ცეცხლის გემები აქვს 458, რომლებშიაც ეტევა 40,000,000 ფუთი. გერმანიას—420 ცეცხლის გემი და ეტევა მათში $28^1/_2$ მილლიონი ფუთი.

დეპეშა

17 მაისს

ტაშკენტი. ის ხმა, რომ ვითომ ინგლისელებმა ბადაშხანი დაიჭირეს, მტირედ არის სარწმუნო ჯერ მარტო იმიტომ, რომ ბადაშხანი ავგანისტანის უმთავრესს ნაწილს შადგენს. ამ ხმის გავრცელების მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ჩიტრალიდამ პოლკოვნიკი დოკგარტი იქმნა გაგზავნილი ინგლისის ჯარის ნაწილით გამმიჯვნელის კომისიის მისაგებებლად.

სტამბოლი. სებერძნეთის სამზღვარზედ თოფის სროლამ 15 მაისამდე გასტანა. ოფიციალურის ცნობებიდამ სჩანს, რომ ოსმალოს 180 კაცი მოუკვდა სხვა-და-სხვა შეჯახების დროს; ამბობენ, რომ ბერძნებს მრავალი ხალხი დაეხოცათო. ხალხნიკს 300 დატყვევებული ბერძენი მიიყვანეს.

ცეტინიე. აქ მოვიდა და დიდის ამბით იქმნა მიღებული ადიუტანტი ხანთქარისა ხულეიმან-ფაშა. ადიუტანტი იმიტომ მოვიდა, რომ მთავარს მიართვას ორდენი „ნიშამინიმტიაზი“.

18 მაისს

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ რადგანაც დღეს სებერძნეთი გულის წმინდით მოქმედობსო, ვგონებთ, დიდნი ხახელმწიფონი მოაშორებენ მის ნაბიჯებს თავიანთს ხომალდებსაო.

ნერჩინსკი. არგუნის აქედ-იქით ნაბიჯებზე და ამურის სათავეში ჩინეთის ყარაული გაძლიერებულ იქმნაო; იგნაშინის ბირის-ბირ 1000 ჯარის კაცზე მეტი დააყენა ჩინეთმაო, რომელიც ეტყობა იმიტომ, რომ სამზღვრის ახლო ადგილები უნდა დასახლოსო.

მოსკოვი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა იღინსკის მამულის გარდა ინახულეს თავად გოლიცინებისა და შჩერბატოვის მამულები და გუშინ ნიკოლაევის რკინის გზის ხიმკის სადგომიდამ ინებეს და პეტერბურგს წაბრძანდნენ.

ვენეცია. აქ ხოლერა ძლიერდება: გუშინ 33 კაცი გახდა ავად და 21 მოკვდა.

ბერლინი. დიდი მთავარი ჯლადიმერ ალექსანდრეს-ძე მობრძანდა გუშინ აქ მეუღლითურთ. დღეს დილით მისმა უმაღლესობამ ინახულა იმპერატორი გილჰელმი, რომელმაც იმ დილითვე გადაუხადა მთავარს ვალი და თავათაც ინახულა მთავარი. შემდეგ მათი უმაღლესობანი სადილად იმპერატორთან ბრძანდებოდნენ და დღეს პეტერბურგს მიემგზავრებიან.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუენ (1886) წელიწადია. მეგუენის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქრონიკონი — $\text{ѹ}^{\text{м}}\text{ѿ}$=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქრონიკონი—мв=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ამაღლება—22 მაისს, სულიწმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ თვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი

20 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. თალალესი, სახელ-წოდება მ. უმ. ალექსეი ალექსანდროვიჩ 36 წლისა და ალექსეი მიხაილოვიჩ. კათ. შერანდინისა და ურშულისა. ქეშმარიტი შუა-დღე 11—57—33. ტფილისში მზე ამოდის 4—27; ჩადის 7—29. მთვარე ამოდის 4—6 ღ. ჩადის 5—46.

21 დღე ოთხშაბათი. წმ. მეფეთა კონსტანტინე, ელენასი. სახელ-წოდება მ. უმ. კონსტანტინე ნიკოლაევიჩ 59 წლისა, კოსტანტინ კონსტანტინოვიჩ 28 წლ, შობა მ. უმ. ალექსანდრა პეტროვნასი. კათ. დონატისა. ვალენსისა და ვიქტორიასი. მუს. მე-30 დღე შაბანისთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა, ქეშმარიტი შუა-დღე 11—57—42. ტფილისში მზე ამოდის 4—27; ჩადის 7—29. მთვარე ამოდის 4—50 ღ. ჩადის 6—51 ღ.

22 დღე ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა. მოწ. ვასილისკესი. სომეხ. ამაღლება ქრისტესი, აგრეთვე ფრანგთა. მუს. 1 დღე რამაზანის თვისა და 1 დღე „რამაზანის“ მარხვისა.

პირველად გაიხსნა სამტრედიასა და ბათუმს შუა რკინის გზა (1883 წ.).

ქეშმარიტი შუა-დღე 11—57—52. ტფილისში მზე ამოდის 4—27; ჩადის 7—30. მთვარე ამოდის 5—41, ჩადის 7—54.

23 დღე პარასკევი. ღირ. მიხაილ აღმსაარებელისა, კათ. ეპისკ. დეზიდერიასი. გენერალ-ლეიტენანტმა კნორინგმა დააწესა უზენაესი გამგეობა საქართველოს მართვისათვის ტფილისში: (ოთხი მდივან-ბეგი ქართლიდგან და ოთხი კახეთიდგან) და ორი კერძო გამგეობა თელავში კახეთისათვის და გორში ქართლისათვის. ქეშმარიტი შუა-დღე 11—58—02, ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30; მთვარე ამოდის 6—36, ჩადის 8—53.

24 დღე შაბათი. სვიმეონ მესვეტისა. კათ. პავლესი და იოანასი. ქეშმარიტი შუა-დღე 11—58—13, ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 7—38, ჩადის 9—46 ღ.

25 დღე. კვირა. მესამედ ჰოვნა თავისა წმ. ივანე ნათლის-მცემელისა, სომ. მეორე ბზობის კვირა, კათ. გრიგოლი VII პაპისა და ურბან პაპისა. ქეშმარიტი შუა-დღე 11—58—23, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 8—40, ჩადის 10—34 ღ.

26 დღე ორშაბათი. წმ. მოც. კარპესი. კათ. ფილიპესი და ალიციისა.

ქეშმარიტი შუა-დღე 11—58—34, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32; მთვარე ამოდის 9—50, ჩადის 11—15 ღ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1-ლ ივნისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კ.
წითელი პური 1-ის გარისხისა	$2^1/_2$	»
» » 2 »	2	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	$4^1/_2$	»
» » 2—	3	»
» » 3 »	$2^1/_2$	»
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	$4^1/_2$	»
მე-2 ხარისხისა	$3^1/_2$	»
მე-3 —	3	»
ქრთხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8	»
» 2 »	7	»
სუკი	14	»
ცხვრის ხორცი	8	»

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. ⸗ 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის— — 10 ს. ⸗ 25 წ. დ.
ბაქოში მიდის— — — 10 ს ⸗ 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ ღ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის 3 ს. ⸗ 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. ⸗ 24 დ წ..

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კავკავ შუა.

პირ-და-პირ მსვლელნი დამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კავკასში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკასიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკასში შედის — 5 ს. 11; 6—43 სად
კავკასიდამ გამოდის 9 ს. დილით.
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 სად.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეიკლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სადამოზე (ეგეფა ნავთ-სადგურებში შეიკლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-ძიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია
ფასი 60 კაპ.
საქართველოს საეკლესიო ისტორია
ფასი 45 კაპ.
მეცხალი
ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ზილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა ათ შაურად.

(10—2)

ბრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
რუსულ ქართული
ლექსიკონი

ხელ-ასლად გადაკეთებული ასალს ლექსიკონებზედ და გამოტემული დ ჩუბინოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

(10—9)

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ მმართველობის თავსმჯდომარე, წესდების მე-13 მუხლის თანახმად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთა, რათა ინებონ და მობრძანდნენ ამ თთვის ოც-და-ორს, ხუთშაბათს, დილის 11 საათზედ, ქართული (არწრუნისეულ) თეატრის დარბაზში, საგანგებო ყრილობის შესადგენად.

ყრილობას წარედგინება მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის დამტკიცება.

ამ ყრილობაზედ ხმა ექმნება მხოლოდ იმ წევრთა, რომელნიც ყრილობამდის წლიურ საწევრო ფულს გადაიხდიან. (4—2)

არ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი
ქართული ხმები
ნოტებზედ გადალებული ან ბენაშვილისაგან.
ფასი 1 მან. და 60 კაპ
(5—3)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა
თხზულებანი
ს. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგი)
პირველი ტომის მეორე ნაწილი.

ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რომელთაც კვიტანცია აქვსთ, სურვილი სამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნაწილის მაგივრად პირველი ნაწილი გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში.

(5—2)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება არის დანიშნული 25 მაისს, დილის 12 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ა) მოსასმენად საზოგადოების ანგარიშისა $188^5/_6$ წლისა, ბ) მისაღებად ახლად შემომავალ წევრთა და გ) დასამტკიცებლად სავარაუდო ხარჯისა $188^6/_7$ საანგარიშო წლისა.

(5—4)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა
გრიგოლ გურიელის გამოტემა
ილია ჭყონიას რედაქციით.
ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

Дозволено цензурою Тифлисъ 19 Мая, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.